საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაკურიანისწყალი

ბაკურიანისწყალი, მდინარე აღმ. საქართველოში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, გუჯარეთისწყლის მარცხ. შენაკადი.

სიგრძე 17 კმ, აუზის ფართ. 44 კმ², სათავე აქვს თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, საყველოს მთისა და ცხრაწყაროს უღელტეხილის მახლობლად. შერეული საზრდოობის მდინარეა. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა შემოდგომასა და ზამთარში. ხეობის განიერ ნაწილში გაშენებულია კურორტი ბაკურიანი.

გ. გიგინეიშვილი